საქართველოს მთავრობის

დადგენილება №31

2022 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

„დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის №561 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის №561 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/09/2020, 040030000.10.003.022281) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის ცხრილის მე-15 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

15	საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის მიზნით, ელექტრონული აუქციონის ჩატარება	50 ლარი	5 834 ლარი	70 000 ლარი

“.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**